

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

თავმჯდომარეს, ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

ბატონო ვახტანგ,

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლისა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2014 წლის საქმიანობის ანგარიშს, საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ.

გაცნობებთ, რომ საანგარიშო პერიოდში:

ა) მაუწყებლის საქმიანობა სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს;

ბ) მაუწყებლის საქმიანობა სრულად შეესაბამებოდა სალიცენზიო პირობებს;

გ) 2014 წელს, ა(ა)იპ "სამოქალაქო განათლების ფონდის" შემოსავლებმა შეადგინა:

სარეკლამო შემოსავლები	302360
შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან	22881
შემოსავლები სატელევიზიო სიხშირით სარგებლობიდან	356752
სხვა საოპერაციო შემოსავლები	15645
დამფუძნებლის შემოწირულობა	14500
სხვა შემოწირულობა	702896
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	41198
სულ	1456232

"მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მოთხოვნათა შესაბამისად, მოგახსენებთ, რომ, 2014 წლის განმავლობაში:

ა) არ შემოსულა განცხადება (საჩივარი, სააპელაციო საჩივარი) მაუწყებლის მიერ "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" დარღვევის თაობაზე;

ბ) მაუწყებლის თანამშრომელთა მიერ ქცევის კოდექსი არ დარღვეულა;

გ) მაუწყებელი მაქსიმალურად უწყობს ხელს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას.

ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ თანამშრომლები, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროექტებში, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა, 16 (თექვსმეტი) გვერდად.

სულ 18 (თვრამეტი) ფურცელი.

30 აპრილი, 2015 წ.

პატივისცემით

თამარ ჩერგოლეიშვილი

სამოქალაქო განათლების ფონდი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სამოქალაქო განათლების ფონდი

ფინანსური ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
2. მოგება ზარალის ანგარიშგება	6
3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
5. ფინანსური ანგარიშგების თანდართული კომენტარები	9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

“სამოქალაქო განათლების ფონდის” დამფუძნებლებს:

ჩვენ ჩავატარეთ “სამოქალაქო განათლების ფონდის” 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული და თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს, მოგება-ზარალის ანგარიშს, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს და კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშს. ასევე წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და მნიშვნელოვანი კომენტარები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იყოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე შიდა კონტროლის ისეთი სისტემების დანერგვა, რომლის დროსაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ანგარიშგების შედგენისას დაშვებული უზუსტობები.

აუდიტის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა არის აუდიტის დასკვნის გაკეთება ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფუძველზე. აღნიშნული აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტი მოითხოვს რომ დავიცვათ ეთიკური მოთხოვნები და აუდიტი დავგეგმოთ და ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცვას არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს ისეთი პროცედურების ჩატარებას რომლის დროსაც უნდა მოხდეს მტკიცებულებების მოპოვება. ჩასატარებელი პროცედურები შეირჩევა აუდიტორის მიერ, რომელიც ასევე აფასებს შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მატერიალურ უზუსტობებს. აუდიტის მუშაობისას ასევე გამოყენებულია ფონდის შიდა კონტროლის პროცედურები, თუმცა აუდიტის პროცესში არ ხდება ამ კონტროლის ეფექტურობაზე კომენტირება. აუდიტი ასევე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობის შეფასებას და მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.


ჩვენ გვჯერა რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისია აუდიტორული დასკვნის გასაკეთებლად

დასკვნა

ჩვენი აზრით “სამოქალაქო განათლების ფონდის” ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბრისათვის სამართლიანად ასახავს ფონდის ფინანსურ მდგომარეობას და მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

სერტიფიცირებული აუდიტორი - იზაბელა გუტიძე

სერტიფიკატის ნომერი: პბ0020



სამოქალაქო განათლების ფონდი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	GEL 31.12.2013	GEL 31.12.2014	
აქტივები			
მიმდინარე აქტივი			
ნაღდი ფული საღაროში	12,977	6,998	
ფული საბანკო ანგარიშზე	2,232	-6,828	
დებიტორები	1,102,982	355,773	შენიშვნა 1
გადახდილი ავანსები	19,680	53,524	
გაცემული სესხი	36,000	0	
მისაღები პროცენტები	572	0	
დღგ-ს აქტივი	61	21,131	
სხვა გადასახადების აქტივი	41,334	2,323	
	—	—	
სულ მიმდინარე აქტივები	1,215,838	432,920	
	—	—	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1,672	4,428	
	—	—	
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1,672	4,428	
	—	—	
გრძელვადიანი აქტივები			
შენობა-ნაგებობანი	7,241	6,879	
მანქანა-დანადგარები	281,467	258,950	
სატელევიზიო ტექნიკა	627,869	602,719	
ავეჯი	25,078	27,713	
ოფისის აღჭურვილობა	6,662	30,582	
ფინანსური იჯარით აღებული აქტივი	3,775	3,053	
სატრანსპორტო საშუალებები	28,724	22,979	
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	47,749	43,879	
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0	0	
გრძელვადიანი ინვესტიციები	980	980	
არამატერიალური აქტივები	185,839	185,273	
	—	—	
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,215,384	1,183,007	
	—	—	
სულ აქტივები	2,432,895	1,620,356	
	—	—	
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორები	1,399,620	808,721	შენიშვნა 2
მიღებული ავანსები	410,069	370,061	შენიშვნა 3
გადასახდელი ხელფასები	0	23,350	
მოკლევადიანი სესხი	0	131,500	
გადასახდელი მოგების გადასახადი	1,152	1,888	
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	10,275	17,021	

გადასახდელი დღგ	0	0
გადასახდელი სხვა საგადასახადო ვალდებულებები	6,417	5,672
სხვა ვალდებულებები	0	0
დარიცხული ვალდებულებები	0	14,733
	—	—
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,827,532	1,372,946
	—	—
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სალიზინგო ვალდებულება	1,152	0
გადავადებული მოგების გადასახადი	134,796	124,265
	—	—
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	135,947	124,265
	—	—
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი	1,041	1,041
გაუნაწილებელი მოგება	12,326	468,374
პერიოდის მოგება/ზარალი	456,048	-346,270
სხვა რეზერვები		X
	—	—
სულ კაპიტალი და რეზერვები	469,415	123,145
	—	—
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,432,895	1,620,356

2. მოგება ზარალის ანგარიშგება

	2014 GEL	
საოპერაციო შემოსავლები	697,638	შენიშვნა 1
საოპერაციო ხარჯები	(1,754,575)	შენიშვნა 2
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(1,056,937)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	769,125	შენიშვნა 3
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(58,458)	
მოგება მოგების გადასახადამდე	(346,270)	
მოგების გადასახადი	0	
პერიოდის მოგება/ზარალი	(346,270)	

3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2014
<u>ფულადი სახსრების ბრუნვა საოპერაციო საქმიანობიდან</u>	(ლარი)
გაწეული მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,023,906
მომწოდებლისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(704,224)
თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(622,025)
ბანკის მომსახურების ხარჯი და საკურსო სხვაობა	(1,531)
გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები	(185,583)
გადახდილი პროცენტები	(1,857)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>(491,314)</u>
<u>ფულადი სახსრების ბრუნვა საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(132,960)
გაცემული სესხები	(75,000)
დაერუნებული სესხი	111,000
დაერუნებული პროცენტი	1,537
<u>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	<u>(95,423)</u>
<u>ფულადი სახსრების ბრუნვა ფინანსური საქმიანობიდან</u>	
მიღებული შემოწირულობები	717,396
მიღებული გრანტი	-
მიღებული სესხები	45,100
გადახდილი სესხები	(190,799)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</u>	<u>571,697</u>
<u>წმინდა ფულადი სახსრების ზრდა</u>	<u>-15039.43</u>
<u>ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასაწყისში</u>	<u>15209.10</u>
<u>ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის ბოლოში</u>	<u>169.67</u>

4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი (ლარი)	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი (ლარი)	2013 წლის დასაკორექტირებელი თანხა	სულ (ლარი)
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	1,041	468,374	332	469,747
2013 წლის მოგების კორექტირება			(332)	(332)
2014 წლის საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება		(346,270)		(346,270)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	1,041	122,104	-	123,145

5. ფინანსური ანგარიშგების თანდართული კომენტარები

1. ზოგადი ინფორმაცია ფონდის შესახებ

არასამეწარმეო არაკომერციული კერძო სამართლის იურიდიული პირი “სამოქალაქო განათლების ფონდი” შემდგომში (ფონდი) რეგისტრირებულია 2009 წლის 9 ნოემბერს თბილისის საგადასახადო ინსპექციის დიდუბე ჩუღურეთის განყოფილებაში.

ფონდის დამფუძნებელი და დირექტორი იყო ფიზიკური პირი თამარ ჩერგოლეიშვილი.

2012 წლის 9 ოქტომბერს ფონდის წესდებაში შევიდა ცვლილება და მიღებული იქნენ ახალი წევრები:

- გიორგი ნოდია
- გიგა ზედანია
- ბაადურ მალაზონია
- ლევან რამიშვილი
- ალექსი მაჭავარიანი
- ბექა მინდიაშვილი
- დავით პაიჭაძე
- კახა ბენდუქიძე
- გიორგი ფრუიძე
- ნინო გოგიბერიძე
- დავით კოვზირიძე
- ირაკლი სალინაძე
- ქეთევან დევდარიანი
- გიორგი ლიფონავა

ფონდის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო განათლების განვითარებისათვის ხელშეწყობა და ამისათვის აუცილებელი პროექტების განხორციელება. პროექტების ქვეშ იგულისხმება საგამომცემლო და საეთერო გადაცემების ორგანიზება.

ფონდის მიზანს წარმოადგენს ასევე სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება როგორცაა:

- პუმანიტარული დახმარების პროექტების განხორციელება მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ნებმისმიერ დაწესებულებებში
- ბავშვთა უფლებების დაცვა, უფასო განათლება და რეაბილიტაცია
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება
- ადამიანთა უფლებების დარღვევასა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

სამოქალაქო განათლების ფონდი

- განსაკუთრებულ ნიჭით დაჯილდებული ადამიანების გამოვლენა და მათი მომავლის უზრუნველყოფა
- ასევე სხვა საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

ფონდის საქმიანობის განსახორციელებლად ფონდი იღებს შემოწირულობებს, დახმარებებს, გრანტებს და ახორციელებს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას.

ფონდი არ ახორციელებდა საქმიანობას 2012 წლამდე, შესაბამისად 2009-2011 წლებში არ არის განხორციელებული რაიმე სახის ოპერაციები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით (IFRS).

ფინანსური ანგარიშგების ვალუტა არის ლარი, რომელიც დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოიცავს მენეჯმენტისგან გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენაზე. ასევე მოითხოვს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირებას ბალანსის შედგენის თარიღისათვის. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისაგან. პერიოდულად საჭიროა ამ შეფასებების გადახედვა და განახლება იმ წლის ფინანსურ შედეგებში, როდესაც გახდა ცნობილი.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით რომ ფონდი განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი ვადით და მენეჯმენტს აქვს სურვილი ფონდის საქმიანობის გაგრძელების და განვითარების მომავალში. ფონდის საანგარიშო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულს საღაროში და ბანკში ლარის ანგარიშში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ვალუტის კურსით. ფულადი სახსრები, დებიტორ-კრედიტორების და სასესხო ვალდებულებების გადაფასება ხდება 31 დეკემბერს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით, ხოლო საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სამოქალაქო განათლების ფონდი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება განისაზღვრება მათი შეძენის მომენტში გაწეული დანახარჯებით, რომელიც მოიცავს აქტივის შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟს, დაუბრუნებად გადასახადებს, ნებისმიერ დანახარჯს რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის დანიშნულების აღგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივების შეძენასთან დაკავშირებული საკურსო სხვაობები და ბანკის ხარჯები არ ჩაირთვება აქტივის თვითღირებულებაში.

რეალიზაციის და შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციით მიღებული ეკონომიკური სარგებლის აღიარებისათვის დარიცხული უნდა იყოს ცვეთა, როელიც სისტემატურად ნაწილდება აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივს ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდი, ექსპლუატაციაში შესვლის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

არამატერიალური აქტივები

ფონდის მიერ შეძენილ არამატერიალური აქტივი წარმოდგენილია ბალანსში როგორც თვითღირებულება შემცირებული დარიცხული ამორტიზაციით.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია განისაზღვრება შემდეგნაირად:

შუქუფი	ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი
შენობა-ნაგებობები	ბალანსის შემცირების მეთოდით მომსახურების ვადა 20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	ბალანსის შემცირების მეთოდით მომსახურების ვადა 5 წელი
მანქანები	ბალანსის შემცირების მეთოდით მომსახურების ვადა 5 წელი
გადამცემი მოწყობილობები	ბალანსის შემცირების მეთოდით მომსახურების ვადა 12.5 წელი
ავეჯი	ბალანსის შემცირების მეთოდით მომსახურების ვადა 5 წელი
არამატერიალური აქტივი განსაზღვრული მომსახურების ვადით	ბალანსის შემცირების მეთოდით აქტივის ღირებულება ჩამოიწერება ხარჯებში საანგარიშგებო პერიოდის პროპორციულად
არამატერიალური აქტივი განუსაზღვრელი მომსახურების ვადით	ბალანსის შემცირების მეთოდით ამორტიზაციის 15%-იანი განაკვეთით
არამატერიალური აქტივი 1000 ლარამდე ღირებულების	სრული გამოქვითვა
იჯარით მიღებული ქონების კაპიტალიზირებული ხარჯების გამოქვითვა	ბალანსის შემცირების მეთოდით ამორტიზაციის 15%-იანი განაკვეთით

მოთხოვნები

დონორთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ფონდი აღიარებს დარიცხულ მოთხოვნად დონორისგან მისაღებ თანხას, რომელიც შემდგომში მცირდება დონორის მიერ გადმორიცხული თანხების ხარჯზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შეფასება ბალანსში ხდება მათ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებით. თვითღირებულების შეფასებისას ფონდი იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადები ფონდის მიერ გადახდილი იქნება დროულად. დარიცხული და გადაუხდელი საგადასახადო ვალდებულება აღიარებული იქნა საგადასახადო ვალდებულებად, ხოლო წინასწარ გადასახადი გადასახადი საგადასახადო აქტივად.

შემოსავლები

ფონდის დაფინანსების წყაროს შეადგენს სხვადასხვა შემოწირულობები, დახმარებები, გრანტი.

შემოსავლად ასევე აღიარდება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელსაც ფონდი განახორციელებს.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება გაწეულად დარიცხვის პრინციპიდან გამომდინარე საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევისთანავე.

კაპიტალი

ფონდის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1041 ლარით, რომელიც შევსებულია 2012 წლის 2 მარტს.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყიდი ნაშთი შეადგენს 1 028 565 ლარს.

ფონდის მიერ 2014 წელს შეძენილია 132 960 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალება.

აქტივში ასევე აყვანილია უძრავ ქონებაზე გაწეული კაპიტალიზირებადი დანახარჯები 16 041 ლარის ოდენობით.

წლის განმავლობაში დარიცხულია 180 812 ლარის ოდენობის ამორტიზაცია.

წლის ბოლოს ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 996 754 ლარს

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულება 31.12.2013 185 839

2014 წელს შეძენილი არამატერიალური აქტივი 25 265

2014 წელს დარიცხული ამორტიზაცია	-25 831
---------------------------------	---------

არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულება 31.12.2014	185 273
--	---------

6. მონაწილეობა სხვა საწარმოში

31 დეკემბერი 2014

<u>მონაწილეობა სხვა საწარმოში</u>	
შპს ყოველკვირეული საინფორმაციო ანალიტიკური ჟურნალი	980
<u>სულ მონაწილეობა სხვა საწარმოში</u>	<u>980</u>

ფონდი არის შპს “ყოველკვირეული საინფორმაციო ანალიტიკური ჟურნალის” 5% წილის მფლობელი.

7. ფული და ფულადი სახსრები

<u>წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/კლება</u>	<u>-15039.43</u>
<u>ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასაწყისში</u>	<u>15209.10</u>
<u>ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის ბოლოში</u>	<u><u>169.67</u></u>

ფულადი სახსრების მოძრაობა ძირითადად ხდება საბანკო ანგარიშებზე. 2014 წელს ფულადი სახსრების ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოსავალი კომერციული საქმიანობიდან - 1,023,906 ლარი, მაგრამ აღნიშნული შემოსავალი ვერ ფარავს მომწოდებელზე, დაქირავებულ პირებზე და საგადასახადო ვალდებულებებზე გაწეულ ხარჯებს.

2014 წელს გრანტის სახით მიღებულია 717 396 ლარი შემოწირულობა სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან: მ.შ. 702 896 ლარი მიღებული კომპანია BISTARI INVESTMENT CORP. დან

ასევე მიღებულია სესხი დამფუძნებლისაგან 45 100 ლარის ოდენობით, რომელიც

დაფარულია ამავე წელს

8. კაპიტალი

31 დეკემბერი 2014

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	1041
სულ კაპიტალი	1041

საწესდებო კაპიტალი შეესებულება 2012 წლის 2 მარტს და 2014 წლის განმავლობაში ფონდის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა.

9. მოთხოვნები

დებიტორები

შენიშვნა 1

შპს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"	0.00
შპს "ყოველკვირეული საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალი ტაბულა"	11,280
შპს "ნიუს-ჯი"	333,657
სხვადასხვა დებიტორები	10,836
სულ დებიტორები	355,773

10. ვალდებულებები

კრედიტორები

შენიშვნა 2

შპს "თი-ვი ემ-არ საქართველო"	17,379
TV საქართველო	33,143
დეკლარირებული დავები	15,000
შპს "ნიუს-ჯი"	333,657
შპს "მაგთიკომი"	32,055
შპს ალფა-კომი/შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი	21,614
შპს "ტელეკომპანია საქართველო"	88,611
AGENCE FRANCE-PRESSE	28,547
Thomson Reuters(markets)Eastern Europe Ltd	67,537
შპს "საქართველოს მედია ჰოლდინგი"	136,171
სხვადასხვა კრედიტორები	35,008
სულ კრედიტორები	808,721

მიღებული ავანსები

შენიშვნა 3

შპს "თბილისის თავისუფალი"	203,529
---------------------------	---------

უნივერსიტეტი	
შპს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"	129,828.54
სს "ლიბერთი ბანკი	35,000
სხვადასხვა მიღებული ავანსები	1,704
სულ მიღებული ავანსები	370,061

ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დავალიანება შპს "ნიუს-ჯი"-ს მიმართ წარმოქმნილი ამ კომპანიიდან ძირითადი საშუალებების შეძენის შედეგად. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიას წლის ბოლოსთვის ასევე გააჩნია დებიტორული დავალიანება სამოქალაქო განათლების ფონდის მიმართ.

11. საგადასახადო ვალდებულებები

წლის ბოლოს ფონდს ერიცხება საგადასახადო ვალდებულება საშემოსავლო გადასახადში 17 021 ლარის ოდენობით და 4 900 ლარი ქონების გადასახადში. პირველი ასახავს დარიცხულ საშემოსავლო გადასახადს, რომლის გადახდის ვალდებულება ჯერ არ დამდგარა, ხოლო ქონების გადასახადების გადახდის ვადა დადგა 2015 წლის 1 აპრილისთვის.

12. შემოსავლები და ხარჯები

საოპერაციო შემოსავლები		შენიშვნა 1
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	302,360	
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	22,881	
შემოსავალი სატელევიზიო სიხშირით სარგებლობიდან	356,752	
შემოსავალი სატელევიზიო სიუჟეტების მომზადებისა და ტელეკომპანიის ეთერში განთავსებიდან	9,322	
სხვა სატელეკომუნიკაციო შემოსავალი	5,000	
არარეზიდენტისათვის გაწეული სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	1,323	
მთლიანი შემოსავლები	697,638	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები		შენიშვნა 2
ხელფასები	813,175	
საიჯარო ქირა	125,560	
არარეზიდენტებისაგან მიღებული როიალტი და უფლებები	71,967	
ელექტროენერგია	66,942	
საერთო სიგნალის ტრანზიტით მომსახურების ხარჯი	55,201	
ოპერატიული მომსახურება	75,085	
ვებ მომსახურება	1,000	
ფილმების და პროგრამების გახმოვანება	7,679	
ინტერნეტის ხარჯი	33,745	

ამორტიზაცია	205,731
სხვა საოპერაციო ხარჯები	298,491
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1,754,575

<i>სხვა არასაოპერაციო შემოსავლები</i>		შენიშვნა 3
საპროცენტო შემოსავლები	965	
მოგება კურსთასორის სხვაობიდან	13,193	
უსასყიდლოდ მიღებული არამატ.აქტივების საბაზრო ღირებულება	912	
ბიუჯეტთან შედარების აქტი	4,987	
შემოწირულობა თამარ ჩერგოლეიშვილი	14,500	
შემოწირულობა BISTARI INVESTMENT CORP.	702,896	
საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება	21,141	
სხვადასხვა არასაოპერაციო შემოსავლები	10,531	
	0	
მთლიანი არასაოპერაციო შემოსავლები	769,125	

13. გადავადებული მოგების გადასახადი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაანგარიშებული მოგება/ზარალი განსხვავდება:

- ძირითადი საშუალებების ხარჯად აღიარების განსხვავებული პრინციპით
- ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტებზე გაწეული ხარჯად აღიარების განსხვავებული პრინციპით
- 2014 წელს ფონდს შეექმნა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი, რომელიც გაანგარიშებულია დროებითი სხვაობებიდან საგადასახადო ხარჯსა და ფინანსურ ხარჯს შორის, რამაც 10531 ლარით შეამცირა 2013 წლის ბოლოს დაფიქსირებული გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება.

მუხლი	ფინანსური	საგადასახადო	სხვაობა
ხელფასის ხარჯი	897860	868672	-29188
ძირითადი საშუალებების გამოქვითვა	206643	182225	-24418
არარეზიდენტის ხარჯი			-16601
სულ სხვაობა			-70207

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი			-10531
---	--	--	--------